მომავალი

—საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი—

№ 94 პარასკევი, 18 დეკემბერი 1909 წ. № 94

გაზეთი „მომავალი" ღირს როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან. ნახევარი წ[ლით] 4 მან. თვიურათ: თფილისში 80 კაპ. თფილისს გარეთ 90 კ. სამი თვით თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 5[0] კაპ. საზღვარ გარეთ—ორჯერ მეტი იმაზე, რამდენიც თფილისში ღირს.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე 3 მან. 4 საათის შემდეგ—მეტი. გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლო თვის პირველი რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება და მათ შესახ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. ადრესის გამოცვლა თფილისიდან თფილისს გარეთ ღირს 80 კაპ. სხვაგან 40 კაპ. ცალკე ნომერი ღირს ყველგან ერთი შაური. რედაქციის ადრესი: თფილისი, რუსის ქუჩა № 3.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„მომავალი"

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის.

გაზეთი ღირს:
თფილისსა და თფილისს გარეთ: ერთი წლით 7 მანეთი, ნახევარი წლით 4 მან., საზღვარგარეთ: ერთი წლით 14 მან., ნახევარი წლით 7 მან. სამი თვით: თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კ., ერთი თვით: თფილისში 80 კაპ., თფილისს გარეთ 90 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება:
თფილისში „მომავალი"-ს კანტორაში, ბათუმში, სამტრედიაში და ჭიათურაში რკინის გზის შკაფებში, ქუთაისში ის. კვიცარიძესთან, ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან—წიგნის მაღაზიაში, ოზურგეთში—[.] თალაკვაძესთან, ხიდისთავში ნ. კობიძესთან, ფოთში ზ. ურუშაძესთან. დანარჩენ ადგილებიდან ფოსტით უნდა გამოგზავნონ ფული რედაქ. კანტორაში.

რადგან ადრესების დამზადება ბევრ დროსა და შრომას მოითხოვს—ამ ხელის მომწერლებმა, რომელთაც მომავალი წლის 1 იანვრიდან სურთ გაზეთის მიღება, აუცილებლათ ამა წლის დეკემბრის გასვლამდე უნდა მოაწერონ ხელი.

რედაქციის ადრესი: რუსის ქ. № 3, ზემო სართული.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, тип. «Шрома», **Калистрату Конст. Цуладзе.**

ღრმათ დამწუხრებული ძმები დათიკო და ბესარიონ და ასინეთი ქამუშაძეები, რძლები: ანნა და მელიკო ქამუშაძეებისა, დისწული ნადეჟდა და ეროგული ნათესავი ელისაბედ სხირტლაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ტრაღიკულ გარდაცვალებას—ძვირფასის

ვახტანგ თედორეს-ძე ქამუშაძისას

დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

გლეხი კაცის

ისტორია

მიიღება ხელის მოწერა

„გლეხი-კაცის ისტორია"-ზე

ცნობილი თხზულება ერკმან-შატრიანისა. სრული თარგმანი ფრანგულიდან **ივ. მაჭავარიანის** მიერ, ავტორთა სურათებით და მათი ბიოგრაფიული ცნობებით.

შინაარსი წიგნისა:

ნაწილი პირველი—1789 წ. საერო კრება.
ნაწილი მეორე—1792 წ. სამშობლოს განსაცდელი.
ნაწილი მესამე—1792 წ. წელიწადი პირველი რესპუბლიკისა.
ნაწილი მეოთხე—1789 წ. მამულიშვილი ბონაპარტი.

ოთხივე ნაწილი ერთ წიგნათ გამოვა დაახლოვებით 1100 გვერდამდე დიდი ფორმატის. ხელის-მოწერით ღირება მხოლოდ **ერთი მანეთი.**

ხელის-მოწერა დაიწყო ამა 1909 წლის 15 ნოემბრიდან, გაგრძელდება 1-ლ იანვრამდე მომავალ 1910 წლისა. ხოლო ამ დღიდან შესწყდება ხელის-მოწერა და ორი კვირის შემდეგ წიგნის ბეჭდვას შევუდგებით. დაიბეჭდება **იმდენი, რამდენიც ხელის-მომწერი იქნება.**

ვისაც სურს ამ წიგნის შეძენა, უნდა ეცადოს უსათუოდ 1-ლ იანვრამდე მოაწეროს ხელი, ვინაიდან ეს წიგნი **ცალკე გასასყიდათ არ გამოვა.**

იმ ადგილებიდან, სადაც ჩვენ აგენტები არ გვყავს, ხელის-მომწერლებმა ერთი მანეთის გარდა უნდა გამოგზავნონ კიდევ ათი შაური ფოსტის ხარჯათ ე. ი. სულ 1 მ. 50 კ. თითო წიგნზე; ფულის მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკების გამოგზავნაც საგანგებო წერილით. (ЗАК. ПИСЬМО). გამომცემლობა ეცდება წიგნი დანიშნულ დროზე გამოსცეს. გამოცემის ტეხნიკური მხარე მტკიცე ნიადაგზე დავაყენეთ და ისეთი დაბრკოლება, როგორიც მოხდა „ეკონომიურ მეცნიერების მოკლე კურსი"-ს გამოცემაზე, ამიერიდან აღარ განმეორდება. წიგნი დაახლოვებით პირველ აპრილისთვის დაურიგდება ხელის-მომწერთ.

თუ სად და ვისთან მიიღება ხელის მოწერა, ამის შესახებ იხილეთ ცალკე განცხადება, რომელიც „მომავალის" და „დროების"-ს 6 დეკემბრის ნომრებთან ერთად დაურიგდა ხელის მომწერთ.

ფული და სხვა მიწერ-მოწერის ქაღალდები, აგენტურის და ხელის-მოწერის შესახებ უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Василію Гадилія. Кирочная ул. № 9.

წიგნების გამომც. ამხ. „ალიონი"-ს გამგე ვასილ გადილია.

(20—11)

ცალობით სავაჭროს განყოფილება

ძმ. ჯავახოვებისა

მიხეილის პროსპექტი, 80, სახ. მახალოვისა.

დიდი იაფი ვაჭრობა

ცხრა დღით: 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23 მნიშვნელოვანი ფას-დაკლებით ყოველივე საქონელი.

ფასები **შეუდარებლათ.**

3—6—3

კბილის ექიმი

ს. ვაშაყმაძე

დილით მიიღება ავათმყოფები 11 საათიდან 2 საათამდის. საღამოს 5—7 ვერის დალმართი სახ. 15.

ფერშალი

ლეონტი ზარკალაია

დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფთა მიღება შუადღის 3—6 საათამდე.
ადრესი: გოგოლის ქუჩა № 68.

წარმოდგენა 22. **ქართული თეატრი** აბონიმენტი 10.

◆ იაფ-ფასიანი სახალხო წარმოდგენა ◆

შაბათს, 19 დეკემბერს 1909 წ. ქართული დრამატ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

ბაგრატ მეოთხე

ისტორიული დრამა 4 მოქ., გადმოკეთებული, კ. მესხის მიერ.
თეოფილე გვინიას როლს შეასრულებს ვასო აბაშიძე.
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.
ადგილების ფასი: 20 კაპეიკიდან 1 მან. 50 კ.-დე.
დასაწყისი სწორეთ საღამოს 8 საათზე.
მზადდება წარმოსადგენათ: „სამეგრელოს მთავარი ლევან".
მორიგი რეჟისორი კ. მესხი. რეჟისორის თანაშემწე **შ. ურუშაძე.**
დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.

მ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

შაბათს, 19 დეკემბერს, სახალხო სახლთან არსებული ქართული წარმოდგენების მმართველი სცენის მოყვარეთა წრის მიერ კ. შათირიშვილის რეჟისორობით წარმოდგენილი იქნება

ქორწიანი ტოროლა

პიესა 4 მოქ. ვილდენბრუხისა, თარგ. ს. ტ—ძისა.

ადგილების ფასი ერთი შაურიდან ათ შაურამდე. ◆ **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

ანონსი: შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება ხუთშაბათს, 31 დეკემბერს. წარმოდგე-[illegible]

რეჟისორი კ. შათირიშვილი. ადმინისტრატორი ვახვახიშვილი.

„სორაპანის" ამხ. გამოცემა.

ქართველი და უცხოელი მწერლები

მიიღება ხელის მოწერა

მეოთხე წიგნზე

„ბანდეგილი"

ლექსები და მოთხრობები.

წიგნი ჩვეულებრივი ფორმატის იქნება 225 გვ. და ხელის მომწერლებისთვის ეღირება 25 კაპეიკი კუზმინისა ავტორის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით. ეს გამოცემა გაცილებით გაუმჯობესებული იქნება ყოველის მხრით წინანდელ ჩვენ გამოცემებზე. ხელის მოწერა მიიღება ყველა ჩვენ აგენტებთან პროვინციაში. ხელის მოწერა დაიწყება 15 დეკემბერს და გათავდება 25 იანვარს.

წიგნი ცალკე გასასყიდათ არ გამოვა.

ვისაც სურს პირდაპირ დაბარება, მან უნდა გამოგზავნოს ფოსტის მარკები—40 კაპ. წიგნი გამოვა თებერვლის 25 რიცხვებში. (30—3)

ადრესი: **Тифлисъ, Т—во «Сорапанъ».**

ტ.-ქ. საზოგადოების გამგეობა

ამით აცხადებს, რომ კვირას, 20 დეკემბერს სამეურნეო ბანკში დანიშნულია

საზოგადო კრების

გაგრძელება

განსახილველი საგნები:

1) 1908 წ. ანგარიში.
2) სარევიზიო კომისიის მოხსენება
3) 1910 წ. ხარჯთ-აღრიცხვა
3) მიღება საზოგ. ახალი წევრებისა.

კრება დაიწყება დილის 11 საათზე.

საყმაწვილო ახალი წიგნაკი

სიბრალული

კარგია

ნატალია რ. გიგაურისა.
ფასი 3 კაპ.

იყიდება თფ. წ.-კ. ს. მაღაზიაში, ქუთაისში—მთავრიშვილის მაღაზიაში, გორში და მიხაილოვში მაისუროვის მაღაზიაში და სურამში—ხორავასთან. 3—1

კბილის ექიმი

ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათმყოფებს დილით 8—12 ს. საღამოთი 3—7 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათ. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს).

დ ქიათურაში **კბილის ექიმი**

ე. ტ. ლორის-მელიქოვი

ღებულობს ავათმყოფებს დილის 10—2 საათამდე და ნაშუადღევის 4 საათიდან 8 საათამდე.

ადრესი: გ. გაჩეჩილაძის სახლი, ვოგზლის ახლო.

კბილის ექიმი

რომანიშვილი—დგებუაძისა

იღებს ავათმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ახალი ბინა: ავჭალის ქუჩა № 34.

სახალხო უნივერსიტეტი

13 დეკემბერს, ზუბალაშვილების სახალხო სახლში დანიშნული ლექცია ექ. ფედოროვისა—„დალლილობის ფიზიოლოგია", გადადებულ იქნა კომისარჟევსკაიას გასტროლის გამო, 20 დეკემბრისათვის. დასაწყისი 11 ნახ. ს. დილით.

ადგილების ფასი 5 კ.—10 კ-დე.

რეაქციონური ხანა

I

ოთხი წელია, რაც რეაქცია ბატონობს. საზოგადოებაში კი დღესაც კამათობენ, კონსტიტუცია არსებობს თუ თვითმპყრობელობა. რეაქციის გამარჯვება ხომ თავისუფლების უარყოფა და ხალხის ახალ ბორკილებში ჩაბმაა. ხალხის „გაბატონება" რეაქციის მოსპობა და კონსტიტუცია-თავისუფლების განმტკიცებაა.

მერე ვინ გაიმარჯვა: ძველმა წყობილებამ? რა წესწყობილება არსებობს? კონსტიტუცია? მარა ეს ხომ ბიუროკრატიის ალაგმვა და კანონმდებლობა-მართვა-გამგეობის განსაზღვრულ ფარგლებში ჩაყენებაა. ჩვენში კი ძველებურათ ადმინისტრაციის „უსმოტრენიები" ბატონობს! თვითმპყრობელობა? მარა აკი „სახალხო" წარმომადგენლობა—სახელმწიფო დუმა მოქმედობს და ბიუროკრატიის მოქმედებაც ასე თუ ისე შეზღუდულია! ასეთი წინააღმდეგობით სავსეა თანამედროვე სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების ყოველი მხარე.

სად უნდა ვეძიოთ ამ წინააღმდეგობის სათავე?

რასაკვირველია, უკანასკნელი წლების ისტორიაში. მოძრაობამ 17 ოქტომბრის მანიფესტი მოგვცა. მისი ცხოვრებაში ლოღიკურათ გატარება—ეს ძველი რეჟიმის შეცვლაა, კონსტიტუციის დამყარებაა. ვინ უნდა იკისროს ეს დიადი როლი და მით რუსეთს თავისუფლება მიანიჭოს? ცხადია, ხალხმა. მხოლოდ ის არის დაინტერესებული ძველი წყობილების შეცვლაში. ხალხი ამას კიდეც შეუდგა. აქ გამოაშკარავდა, რომ ის სუსტია—ძველი წყობილების დამცველნი უფრო ძლიერნი აღმოჩნდენ. ბრძოლაში კი მუდამ ძლიერი იმარჯვებს და სამართალიც მისია.

ახალი წყობილების—კონსტიტუციის წინააღმდეგ ყველა ბნელი ძალა შეერთდა: თავად-ზნაურობა—მას ადგილ-მამულის კონფისკაციით ემუქრებიან—და ბიუროკრატია—მას თბილი ადგილების დაკარგვა მოელის. მათ ხალხის ნაძირალები უერთდებიან და ასე, რეაქციონური ბლოკი შედგენილია. მას ზურგს მსხვილი ბურჟუაზია უმაგრებს. მუშათა მოძრაობა მის ჯიბეს ემუქრება, და ბურჟუაზიაც რეაქციონერთ ეკედლება, „თავაშვებული" მუშა დავთრგუნოთო.

მოძრაობა დატუქსეს და ყველა დაიმორჩილეს. რეაქციონერთა მიზანია მოძრაობის დროს მოპოებულთა სავსებით გაბათილება და ცხოვრების ძველ კალაპოტში ჩაბრუნება, მარა მოძრაობამ სახელმწიფო მექანიზმიც მოშალა. მისი „შეპაჩინკება" დროსა და თანდათანობას მოითხოვს. რეაქციონერებიც მუშაობას შეუდგენ, რუსეთს ძველი წყობილებისაკენ მიაქანებენ... ორი დუმა დაითხოვეს, მიწასა და თავისუფლებას ითხოვდა და ქვეყანას დაღუპვას უქადდაო გამოაცხადეს. 1907 წ. 3 ივნისის კანონით სახელმწიფო გადატრიალება მოაწყვეს და სახელმწიფო დუმა „დაისაკუთრეს"—ხალხის ინტერესები მემამულეთა და ბურჟუებს უკეთ ესმისო. უკანასკნელ დროს კი, ძირითადი კანონების 96 §-ის განმარტებით სახელმწიფო დუმის ისედაც შეკვეცილი საბიუჯეტო უფლებები ჯარისა და ფლოტის საქმეში კიდევ უფრო შეიზღუდა და ასე, ყოველი მხრიდან, 17 ოქტ. მანიფესტს აბათილებენ, ქვეყანასა და ევროპის ბანკირებს არწმუნებენ—წესიერებას ვამკვიდრებთო.

მართლაც, „წესიერება" დამყარდა. მოძრაობის დროს წარმოშობილ ყოველ ორგანიზაციებს სასტიკი ომი გამოუცხადეს, თავისუფლებისათვის მებრძოლნი ხალხს მოსწყვიტეს და ასე ხალხის დამორჩილებას და თავისი ბატონობის განმტკიცებას ცდილობენ. მთელი ქვეყანა საგენერალ-გუბერნატოროებათ დაანაწილდა და დუმბაძე-ტოლმაჩოვ-მიქიაშვილებს კანონი და სამართალი მიენდო—იყოს ნება თქვენიო. ასეთ ახალ „კანონმდებელ-მოსამართლეთა" ხელში კი ძველი ბიუროკრატიული კანონიც მოსპობილია. კადეტები კი ამ დროს ქვეყანას არწმუნებენ—კონსტიტუცია დამყარდაო.

რას წარმოადგენს ამის შემდეგ სახელმწიფო დუმა?

ქაღალდზე ის კანონმდებელი დაწესებულებაა, საქმით კი მემამულეთა და ბიუროკრატიის სურვილებს ადასტურებს. კანონით ის ბიუროკრატიის მოქმედებას კანტროლს უწევს, ნამდვილათ კი მას თვით ბიუროკრატია-მემამულენი კრიჭაში უდგიან და წამ და უწუმ დაითხოვნით ემუქრებიან თუ ურჩობა გაბედა და თავის ბატონთ თვით უმნიშვნელო მუხლშიაც გადუდგა. იურიდიულათ ის სახელმწიფო ბიუჯეტს ამტკიცებს; ფაქტიურათ კი ყველაფერი წინანდებურათ სწარმოებს და მისი საბიუჯეტო უფლება, უიმისოთაც ფრთა-შეკვეცილი, სავსებით სახელმწიფო საბჭოს ხელშია.

მოკლეთ: კანონმდებელი სიტყვით, სახელმწიფო დუმა, კანონმრჩეველია საქმით და ბიუროკრატია-სახელმწიფო საბჭოს მაჩანჩალაა.

ნამდვილი სახალხო წარმომადგენლობა ჩვენში მომავალს ეკუთვნის.

ამის შემდეგ ყველასათვის ცხადი უნ-

და იყოს, რომ სავსებით მართალია ის შეხედულება, ჩვენში „კონსტიტუციონური" თვით-მპყრობელობა არსებობსო; მართლაც, გაბატონებული კლასები ერთი პირი დამარცხდენ და ხალხს კონსტიტუციას შეჰპირდენ. მერე ისევ მოღონიერდენ და მანიფესტის უკან წაღებას შეუდგენ. ისინი ცდილობენ მის სავსებით მოსპობას, მარა ჯერ ღონე არ შესწევთ და ხალხს „შეპაჩინკებას" პირდებიან,—ძველიც იყოს და ახალიცო, თუ კი ძალა უფლება კვლავაც ჩვენ ხელთ იქნება და „კონსტიტუცია"—სახელმწიფო დუმა ჩვენს სურვილს აასრულებსო. ასე ცდილობენ ორი მოწინააღმდეგე პრინციპი მოარიგონ და ქვეყანა სამუდამოთ დაიმორჩილონ.

ასეთი «რეფორმატორობა"— არ ახალია, ძველია.

საფრანგეთში მეთვრამეტე საუკუნეში ლუი მეთექვსმეტის დროს ნეკკერის მეთაურობით არეული ფინანსების მოწესრიგებასა და ზევიდან რეფორმის გატარებას ცდილობდენ. ამ მიზნით 1789 წელს გენერალური შტატები—კანონმრჩეველი წოდებათა წარმომადგენლობა მიიწვიეს, ერთათ ქვეყნის „განახლებაზე" ვიზრუნოთო. მარა ფინანსთა მინისტრის ნეკკერის მოღვაწეობას საფრანგეთის ხალხმა რევოლიუციით გასცა პასუხი და გენერალური შტატები ნაციონალურ კრებათ გამოაცხადა.

1847 წ. ნეკკერის გზას პრუსიაშიაც დაადგენ. იქ პროვინციალურ ლანდტაგთა შეერთებული კრება გაიმართა, რასაკვირველია, სარჩევი ხმით, ხალხმა ფინანსების მოწესრიგებაში დაგვეხმაროსო. გერმანიის ხალხის ხმაც გაისმა: 1848 წლს მარტში რევოლიუცია დაიწყო და კონსტიტუცია დამყარდა... სახელმწიფო დუმა ფაქტიურათ მხოლოდ გენერალური შტატებია ან პროვინციალურ ლანდტაგთა შეერთებული კრებაა. ბიუროკრატ. „რეფორმატორობა" კი ძველი საფრანგეთისა და პრუსიი' ბიუროკრატთა პლანია. ძველი რეჟიმის „შეპაჩინკებით" ხალხის სამუდამოთ დამონებაა.

ასეთი „რეფორმის" სულითაა გაჟღენთილი ყოველი ბიუროკრატიის ყოველი ნაბიჯი, განსაკუთრებით რუსეთის ბიუროკრატიის „დიდი რეფორმა"—9 ნოემბრის აგრარული კანონი. თემის („ობშჩინის") დარღვევა ისტორიული აუცილებლობაა. თავისუფალი მუშა ინდუსტრიასა და სოფლის მეურნეობაში და ადგილ-მამულის საალებ-მიცემო საგნათა საქონლათ გამოცხადება—აი რას ითხოვს კაპიტალიზმი. ამ მხრივ ბიუროკრატიის რეფორმა ცხოვრებას ალღოს უღებს და სოფლის გაევროპიელებას გვიქადის. ეს ბურჟუაზიის ინტერესია და პროგრესს მოასწავებს. მარა ბიუროკრატია მხოლოდ მემამულეთა ინტერესებს იცავს და ყოველი ძალ-ღონით სოფლათ ერთ მუჭა მსხვილი გლეხ-კაცობის წარმოშობას ხელს უწყობს. ამიტომაც არის თემს ხელოვნურათ არღვევენ და სოფლის ხალხს ერთი დაკვრით ალატაკებენ. და მემამულეთა და მსხვილი გლეხკაცობის ბრჭყალებში ერეკებიან. იქ, სადაც 24 წლის განმავლობაში სათემო ადგილ-მამულის ახალი დანაწილება („პერედელი") არ მოუხდენიათ, იქ ყველა ადგილ-მამული კერძო საკუთრებათ გამოცხადდესო. რაკი ყოველი განაწილების დროს სათემო ადგილი ათას ნაკუწათ იჭრება, ამიტომაც მისი კერძო საკუთრებაში ჩარიცხვა არსებული დაქუცმაცების („ჩერეზპოლოსიცა") დაკანონებაა და მით გლეხია მიწათმფლობელობიდან ფართო ტეხნიკური განვითარების სრულიად განდევნაა. ეს მემამულეთა ინტერესია,—ამით გალატაკებული გლეხ-კაცობა მათი მუდმივი საწველი ფური გახდება, მარა კაპიტალიზმის განვითარებას წინ ეღობება და ცხოვრებას უკან მიაქანებს.

ყველა ეს მიმართულია იქითკენ, რომ სოფლათ ორი მებრძოლი პარტია შექმნან და მსხვილი გლეხ-კაცობა დანარჩენ გლეხებს დაუპირდაპირონ, აიშლებიან და ჩვენ მოვიგებთო. ასე ფიქრობენ ხალხის მთავარი მოთხოვნილება—მემამულეთა ადგილ-მამულის ჩამორთმევა დამარხონ და ხალხის ურთიერთ ბრძოლაში თავისუფლების საქმეც წყალს გაატანონ.

მერე შესძლებს კი რეაქციონერთა შავი ლაშქარი ისტორიის ჩარხის უკუღმა დატრიალებას და კაპიტალისტურ რუსეთში ბატონ-ყმური მართვა-გამგეობის შენარჩუნებას?

ჩვენ დავინახეთ, რეაქცია თემს არღვევს და კაპიტალიზმს სოფელშიც გზას უხსნის. ის სავსებით კაპიტალისტებს ექომაგება და მუშათა ორგანიზაციების დაფუშვით და სხვადასხვა პრემია-ბაჟებით მათ გაძლიერებას ხელს უწყობს. ასე ეკონომიაში, ის ნებსით თუ უნებლიეთ კაპიტალიზმს ებღაუჭება, პოლიტიკაში კი ისევ ბატონ-ყმობა უნდა ბატონობდესო, მარა პოლიტიკა ხომ ეკონომიაზე აგებულია, კაპიტალისტური ეკონომია კაპიტალისტურ პოლიტიკას, ე. ი. კონსტიტუციას მოითხოვს. ამიტომაც, რაც მეტს „რეფორმატორობს" ბიუროკრატია, მით ისტორიული ნასკვი კიდევ უფრო იხლართება... ასე რომ, რეაქციის აღსასრული ახლოვდება ძალთა ახალი განწყობილებით.

ამიტომაც არის უკანასკნელ ჟამს რეაქციონერთა მოკავშირე მსხვილი ბურჟუაზიაც კი უკმაყოფილებას აცხადებს—ზომიერ რეფორმასაც ვერ ვღირსებთო. მერე რამ ააყაყანა ისინი? ხალხი ღატაკდება და ჩვენს საქონელს მყიდველი არა ყავსო, ქვეყნათ ანარქია გამეფდა, წარმოება კი წეს-რიგს ითხოვსო. შეიძლება სხვა კლასები შეურიგდენ თავის ბედს და მემამულეთა და ბიუროკრატიის წინაშე ქედი მოიხარეს? რასაკვირველია, არა. პირიქით, უკმაყოფილება საერთო შეიქნა. თუ 1905—6 წლებში ხალხის მხოლოდ ერთი ნაწილი იბრძოდა, უპირველესათ მუშათა კლასი, დღეს რეაქციამ თვით მიყრუებული კუთხეებიც აალაპარაკა. ხალხი უკმაყოფილოა რეაქციით. თვით უკიდურესი რეაქციონერნი უკმაყოფილოა მთავრობით,—„კონსტიტუცია"—დუმა კიდევ არსებობსო. თვითმმართველი წრეები ერთი მეორეს ებრძვიან: არა შენ და არა მე უნდა დავმარხო უფლებებიო. ამ დროს სახელმწიფო ბიუჯეტი დღითი დღე იზრდება, ყველა ხაზინას ეპოტინება. სახელმწიფო შემოსავლის ახალი წყაროები კი მოისპო—ხალხმა უკანასკნელი კაპეიკიც გაიღო...

მოკლეთ: წესიერების ნაცვლათ ქვეყნათ უკმაყოფილება და საერთო არევ-დარევა გამეფდა. აი ეს ახასიათებს თანამედროვე ხანას. ძველი კანონების ნაცვლათ ახალი ჯერ არსად სჩანს. ძველი რეჟიმის არსებობა რეაქციის მუდმივ შეიარაღებაზე ჰკიდია, მარა მუდმივი ომი —ეს ხომ აბსურდია! ახალი წყობილების—თავისუფლება-კონსტიტუციის დამყარება კი ჯერ ხანგრძლივ ბრძოლას მოითხოვს.

აშკარაა, ეს გარდამავალი ხანაა, ეს საერთო არევ-დარევისა და ანარქიის ბატონობაა. ამ არევ-დარევის მოსპობა რეაქციის მოსპობას მოყვება..

რეაქციამ თავის სიტყვა უკვე სთქვა...

პეტრე

სახელმწიფო დუმა

(სააგენტოს დეპეშებიდან.)

შეკითხვა პოლ. კარპოვის მოკვლის შესახებ.

განაგრძობენ კამათს პოლკოვნიკ კარპოვის მოკვლის შესახებ შეკითხვაზე. ბულატი ამბობს, რომ მემარჯვენეებმა და ცენტრმა საბუთიანათ ვერ სცნო შეკითხვა და უსინდისოც კი უწოდა მას. ის ამტკიცებს, რომ მუდამ, როცა დრო მოახლოვდებოდა გაძლიერებული დაცვის ვადის გასვლის პეტერბ., „დაცვის განყოფილება" მუდამ პროვოკაციას ახდენდა და ახდენს, მთავრობა და დუმა კი ტყის ქათამივით თავს მალავს. წინადადება შეაქვთ კამათი შეამოკლონ. კენჭის ყრით წინადადებას ღებულობენ. პარტიების შეთანხმებით სიტყვა ეძლევა: როდიჩევს, ჩხეიძეს, შერვაშიძეს, ტიმოშკინს, გუჩკოვს და საზონოვს. თავ. შერვაშიძე, როგორც არტილერისტი, აცნობს დუმას, თუ რა პირობებში მოხდა აფეთქება. მისი აზრით ყუმბარა უცაბედათ სტოლიდან გადმოვარდნილა და აფეთქებულა, იქვე მჯდომ კარპოვის ახლო. ტიმოშკინი შერვაშიძის სიტყვებში ხედავს, რომ მას არტელერიის საქმის არაფერი სცოდნია. ტიმოშკინის აზრით აფეთქდა ჯოჯოხეთის მანქანა, რომელიც განგებ იყო მოწყობილი. როდიჩევი მთელი საათი ლაპარაკობს. ის ეხება მთავრობის მოქმედებას, აღნიშნავს, რომ პროვოკაციული მოქმედებები რუსეთის მთავრობისათვის არ ახალია, ძველია. ჩვენ ეს შეკითხვა შემოგვქონდა, ამბობს ორატორი—იმ იმედით, რომ გამოვარკვევდით საქმეს და ნათელს მოვფენდით მას და თანაც გვავარკვევდით, რომ მთავრობა პასუხისმგებელია, ის მთავრობა, რომელიც სრულიად უპასუხისმგებლოთ და უკანონოთ იქცევა. სადმე სხვა სახელმწიფოში რომ ასეთი საქმეები მომხდარიყო როგორც აზეფის, გარტინგის და სხვის, მთავრობა ყოველივე ზომებს იხმარა დაეცვა თავისი მორალური ავტორიტეტი. ჩვენ კი ფაქტებს გვთხოვენ, რის მოვალეც არა ვართ. ფაქტები თუ კეთილსინდისიერმა მთავრობამ უნდა გვატყობინოს. ჩვენში პროვოკაციას ის მოსდევს ჩინ-ორდენები და ალმატი. აზეფის, გარტინგის და კარპოვის საქმეების გამო მთელ რუსეთს ეგზეკუციებით, სამხედრო სასამართლოებით და სხ. სულს ხდიან. ბეჭდვითი სიტყვა ჩაწყვეტილია. მთელი ჩვენი ბედ-იღბალი ამ პროვოკატორ-აგენტების ხელშია. აზეფის შესახებ შეკითხვას მხარი დაუჭირეს მემარჯვენეებმა, რადგან ის რევოლიუციონერებმა შემოიტანეს და საჭირო იყო მთავრობის დაცვა, ახლანდელი შეკითხვა კი კადეტებმა შემოიტანეს და თქვენ (მიმართავს ცენტრს) უნდა გადასწყვიტოთ გინდათ თუ არა თქვენ მათ მხარი დაუჭიროთ (უჩვენებს მემარჯვენეებზე. მარცხნით ტაშის ცემა).

ჩხეიძე ს.-დემოკრატიულ ფრაქციის სახელით აცხადებს, რომ როცა ფრაქციას შეკითხვა შემოჰქონდა ფიქრობდა, რომ მთავრობა პასუხს არ გასცემდა, მაგრამ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდებოდა—რაღაც ზღაპრულ ამბავს იტყოდა—ფრაქცია არ შემცდარა. ჩხეიძე ეხება მთავრობის ოფიციალურ ცნობას და „ნოვოე ვრემია"-ში მოთავსებულ ცნობას. მთავრობის პასუხი ორატორის სიტყვით სიცრუეა: მთავრობის ცნობაში ნათქვამია პოლკოვნიკი კარპოვი ვერაგულათ მოკლა ვიღაც უცნობმა, რომელმაც ამას წინათ აღუთქვა დაცვის აგენტებს დახმარება, მაგრამ ორატორის სიტყვით ამ უცნობს დიდი ხანია იცნობდენ აგენტები. ეს უცნობი იყო მაქსიმალისტი სასამართლოს წესით გადასახლებული და შემდეგ ადმინისტრატიული განკარგულებით დაბრუნებული. ამ პირის მოქმედება რამდენიმე ხნის წინათ გამოამჟღავნა იმ რევოლიუციონერთა წრემ, რომელთანაც მას ქონდა საქმე. ბაკაის სიტყვით ორატორი ამტკიცებს, რომ დაცვის აგენტები ყველა პროვოკატორებს იცნობენ. ის ადარებს კარპოვის საქმეს დეგაევისას და ამტკიცებს, რომ კარპოვი ენერგიულ მონაწილეობას ღებულობდა ტერორისტულ აქტების მომზადებაში, რომლის შესრულების შემდეგ ვოსკრესენსკის შეეძლო მისულიყო რევოლიუციონერებთან და ეთქვა ცოდვები უკვე გამოვისყიდეო. ამ საქმეში, ამბობს ორატორი—ან ტერორისტულ აქტს ამზადებდენ, ან ასაფეთქებელ ნივთიერებათა ლაბარატორიის მოწყობა უნდოდათ, რაშიაც კარპოვი მონაწილეობას ღებულობდა. ორატორი სთხოვს დუმას მიიღოს შეკითხვა და უთხრას ქვეყანას, რომ დღემდე „ოხრანა"-ს მონაწილეობა არ მიუღია ყუმბარების კეთებაში და ეხლა კი დაცვის უფროსებიც კი ღებულობენ მონაწილეობას. ძალაუნებურათ ასეთი კითხვა დგება—ამბობს ორატორი—შემდეგში ისინიც ხომ არ შეუდგებიან ყუმბარების კეთებას, ვისზედაც დამოკიდებული იყო კარპოვი? ვისაც არ უნდა გვერდი აუხვიოს ამ კითხვას, უნდა მიიღოს შეკითხვა. (მარცხნით ტაშის ცემა.

გუჩკოვი. შეკითხვის ავტორებს საბუთები არ წარმოუდგენიათ შეკითხვის დასასაბუთებლათ. მილიუკოვის სიტყვები—„ჩვენ არაფერი არ ვიცით" ყველა მოლაპარაკე დეპუტატების სიტყვების უმთავრეს მოსაზრებას შეადგენს. ჩვენ წინ არის ნახევრათ გამორკვეული პროვოკაცია. როდიჩევმა სიტყვა-სიტყვით გადასთარგმნა ბურცევის წერილი პეტროვზე, მაგრამ მან, ალბათ, განზრახ გამოტოვა ერთი ფრაზა: „ნოემბერში პეტროვი დაბრუნდა პეტერბურგში, რომ შურის ძიების გეგმა სისრულეში მოეყვანა; დანარჩენი ცნობილია". რა აზრი აქვს ბურცევის ამ სიტყვებს, რომელსაც მილიუკოვი მეტათ ერწმუნება, ვინემ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, თუ არა ის, რომ პეტროვი დამცველი პოლიციის აგენტი კი არ იყო რევოლიუციონერების ბანაკში გაგზავნილი დამზვერავათ ან პროვოკატორათ, არამედ რევოლიუციის აგენტი „ოხრანკაში" შემოგზავნილი, რომ პროფესიონალური საიდუმლოება გაეგო, რომ იმათ დაახლოვებოდა, ვისთან დაახლოვებაც რევოლიუციონერებისათვის საჭირო იყო. ჩვენ ვეთანხმებით მომხსენებელს, რომ რევოლიუციონერების წარმომადგენლები დამცველ პოლიციაში თავისი განზრახვებით შედიან, რადგან რევოლიუციონური ბანაკის გახრწნა ძალიან შორს წავიდა. იდეალური, საგმირო ხანა რევოლიუციისა ისტორიას ჩაბარდა და ექსპროპრიების, ყაჩაღობის და ხულიგნობის ხანით შეიცვალა. კავკასიაში იციან მაგ, რომ როდესაც საუკეთესო რესტორანებში არაჩვეულებრივი ქეიფი ხდება, სჩანს სადმე მსხვილი ექსპროპრიაცია მოუხდენიათ. კითხულობს ერთი რევოლიუციონერი ქალის წერილს, რომელიც პარტიაში წმიდა იდეალებით შესულა, მაგრამ შემდეგ გული გაცრუებია, რადგან დარწმუნებულა, რომ მთელ მოძრაობას ებრაელები ხელმძღვანელობენ და თავიანთ გამარჯვებას ამზადებენ, ამის შემდეგ მას თავიც მოუკლავს. ცნობილია ისიც, რომ რევოლიუციონერები პარტიის იარაღის შეძენის დროს განგებ ცუდ იარაღს იძენდენ, რომ მექარხნეებისაგან „საკომისიო" მეტი აეღოთ. თქვენ შემცდარი იქნებით, თუ ფიქრობთ, რომ მთავრობის მხრივაც ვერ ვამჩნევთ ნაკლს პოლიტიკურ ბრძოლის საქმეში. ჩვენც ვიცით, რომ დამცველი პოლიცია ყოველთვის წმიდა საშვალებებს არ ხმარობს მიზნის მისაღწევათ. ჩვენ გვჯერა სტოლიპინის სიტყვები, რომ ის პროვოკაციულ საშვალებებს ებრძვის, მაგრამ ჩვენ მას არ დავუჯერებთ რომ გვითხრას: მე ეს პროვოკატორული საშვალებანი უკვე ვსძლიეო. პროვოკატორულ მოქმედებას ჯერაც აქვს ადგილი პოლიციის მოქმედებაში; ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ მთავრობას პროვოკაციასთან ბრძოლაში. შეკითხვების კომისიაში კითხვა დაისვა, შეკითხვა უპატიოსნო საქციელით ყოფილიყო ცნობილი (მარცხნით ხმაურობა).

თავმჯდ. მე ამაზე ლაპარაკის ნებას არ მოგცემთ.

გუჩკოვი. ჩვენ ასეთი უაზრო შეკითხვის შეტანა და მისი მხარის დაჭერა არა კეთილსინდისიერ საქციელათ მიგვაჩნია.

გრაფი ბობრინსკი უარს ყოფს თავად შერვაშიძის ექსპერტიზას, რადგან ეს სინამდვილეს არ შეეფერება. თუ თავ. შერვაშიძეს ჰგონია, რომ პეტროვი კარპოვის საბრალო თანამონაწილეა, პეტროვი კი არ არის საბრალო, არამედ—თვითონ შერვაშიძე, რომელიც ასე ფიქრობს. შეკითხვის უფლება სერიოზული უფლებაა და დუმა ამ უფლებას დიდი სიფრთხილით უნდა მოეპყრას.

151 ხმით 88 წინააღმდეგ შეკითხვა უარყოფილ იქნა.

სალამოს სხდომაზე დუმამ განიხილა სხვადასხვა წვრილი კითხვები. სხდომა დაიხურა.

დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 დეკემბერი.

სპარსეთი

თავრიზი. რახიმ-ხანის წინააღმდეგ გამოგზავნილმა რაზმმა ეფრემის მეთაურობით ორჯერ დაამარცხა ყარადაღლები ურმიის ახლო.

სათარხანი ისევ დადის თავრიზში თავის შეიარაღებულ ფიდაებით.

ოსმალეთი

კონსტანტინოპოლი. რადგან მინისტრები ვერ შეთანხმდენ, დიდმა ვეზირმა სულთანს თხოვნა წარუდგინა კაბინეთის გადადგომის შესახებ.

საზღვარ-გარეთ

პარიჟი. გილევიჩი დაიჭირეს ბანკში, როცა ის 700 მანეთს ღებულობდა. დაჭერის დროს"ის რევოლვერით დაიმუქრა და ამტკიცებდა, რომ ის გილევიჩი არ არის, მაგრამ გაჩხრეკის დროს ჯიბეში წერილი აღმოაჩნდა, რომელსაც ის დედას უგზავნიდა, რითაც დამტკიცდა, რომ ის გილევიჩი იყო. ის პრეფექტურაში წაიყვანეს. რამდენიმე წუთით დიდ სატუსაღოში წაყვანამდე მან განაცხადა, რომ თავს ცუდათ ვგრძნობ და როცა აგენტმა „უბორნიაში" გაიყვანა ციანისტიკალი დალია და მოკვდა.

რუსეთი

პეტერბურგი. მინისტრთა საბჭომ დაადგინა წარუდგინოს უმაღლესთ დასამტკიცებლათ წინადადება, აიღოს ქ. თფილისმა სამი მილიონი სესხი.

„დროება" თავისას არ იშლის.

„დროება" არ ცხრება. ის თავის გზას განაგრძობს. მისთვის საბუთს, მოსაზრებას, მნიშვნელობა არა აქვს. მისი საქმეა გამგეობის დაცვა—მისი ვექილობა. ის არ ცვლის ამ კითხვაში თავის პოზიციას. ჩემი ,,სინდისი'' ასეთიაო და „შესცვლის თუ არა ,,მომავალი'' თავის პოზიციას ეს მისი სინდისის საქმეა''-ო. ჩვენ არ ვიცით, რომელი ,,სინდისი'' ავალებს ადამიანს კერძო პიროვნება, თუ გინდ მთელი კოლეგია, საზოგადო ინტერესებზე მაღლა დააყენოს. აქ სინდისზე და უსინდისობა-უპატიოსნობაზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ—ისეთ საჭირ-ბოროტო საკითხზე, როგორც არის „ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოება''. ჩვენ ვთქვით და ვიმეორებთ, რომ კითხვა ნდობა არ ნდობის შესახებ გადაწყდება მხოლოდ მას შემდეგ, როცა გავიგებთ რა არის და რა არა, რა დაიკარგა და ვინ დაკარგა. ჩვენ ვთქვით, რომ ანგარიშის დამტკიცება არ შეიძლება მანამდე, სანამ შემოწმებული არ იქნება „საზოგადოების" მთელი ქონება, რადგან, ვიმეორებთ, არც გამგეობამ იცის დღეს დანამდვილებით რა აქვს და რა არა. შეუძლებელია ისეთი ანგარიშის დამტკიცება, რომლის სინამდვილე სავსებით არავინ იცის. მაშასადამე, ანგარიშის დამტკიცება უნდა გადაიდოს. რა უნდა ვქნათ მანამდის? უნდა შევამოწმოთ ყველა ქონება. ვინ უნდა შეამოწმოს? საგანგებო კომისიამ. რატომ? იმიტომ, რომ რევიზია უნდა შეეხოს არა მარტო ერთ და ორ წელს, არამედ ყოველივე იმას, რაც დღემდის იყო და გაკეთდა. მაშასადამე, ის რევიზია შეეხება სხვათა შორის ახალი გამგეობის საქმეებსაც. ახლა მითხარით: სად მომხდარა, რომ ამა თუ იმ გამგეობას მიანდონ თავისივე მოქმედებათა რევიზია. ეს მხოლოდ ჩვენი „საზოგადოების" გამგეობაშია შემოღებული, სადაც მდივანსავე ანდობენ იმავე მდივნის რევიზიას, ე. ი. თავის თავის რევიზიას. თუ დაგვარწმუნებთ, რომ რევიზია უნდა შეწყდეს იქ, სადაც ახალი გამგეობის მოქმედება იწყება, მაშინ—ეს სხვა კითხვაა, მარა თუ რევიზიამ დღემდე უნდა მოატანოს (და ჩვენი აზრით ეს ასეც უნდა მოხდეს) მაშინ კი ბატონებო, თქვენი წინადადება—ამავე გამგეობამ მოახდინოს ეს რევიზიაო —ყოველივე აზრიანობას მოკლებულია და მისი დაცვა მხოლოდ „დროებას" შეუძლია.

ჩვენ ვამბობდით და ახლაც ვიმეორებთ, რომ არას ვამბობთ იმის შესახებ, თუ ვინაა პასუხისმგებელი ვერ ვიტყვით იმისთვის, რომ არ ვიცით მაგ, როდის დაიკარგა წიგნის მაღაზიაში რამდენიმე ათასი მანეთი. არც გამგეობამ იცის ეს, არც სარევიზიო კომისიამ და ვგონებთ, არც „დროებამ". მაშასადამე, როცა არ ვიცით, ვის უნდა მოეთხოვოს ამ შემთხვევაში პასუხი. შეუძლებელია ითქვას, ყველაფერში ეს და ესაა პასუხისმგებელიო. აბა ერთი გვითხრას ან „დროებამ", ან გამგეობამ, ან სარევიზიო კომისიამ: როდის მოხდა ეს ბოროტ-მოქმედება. ჩვენ არა გვაქვს დღეს არავითარი საბუთი ვთქვათ: ეს ბოროტ-მოქმედება ამა და ამ წელში მოხდა. —ამიტომ ვწერდით, რომ საგანგებო რევიზია **სხვათა შორის** ამ კითხვასაც გამოარკვევს თქვა მანამდის კი, ვინმეს უნდობლობაზე, ან ნდობაზე, ან დანაშაულობაზე ჩვენ არ ვლაპარაკობთ და ვერც ვილაპარაკებთ. ეს მხოლოდ „დროებას" ეადვილება სთქვას: დღევანდელი გამგეობა არაფერ შუაშია მაშასადამე, ყოველივე ყოფილი გამგეობის ბრალი ყოფილა. შეიძლება ასე იყოს, მარა მაშინ „დროება" ვალდებულია სთქვას—თუ როდის რა მოხდა და სანამ ეს არ უქნია „დროებას" ან გამგეობას, მანამდე ჩვენ არავითარი საბუთი არ გვაქვს გადაჭრით ვსთქვათ—თუ რომელი გამგეობაა პასუხისმგებელი.

რაც შეეხება „სადაო საგანში სიცრუის შეპარებას", ამის შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ ან თქვენ თქვით სიცრუე—გამგეობას რევიზია არ მოუხდენიაო—ან და გამგეობამ, რომელმაც სადაო კითხვის შესახებ, საზოგადო კრებაზე ყველას გასაგონათ განაცხადა, რომ „დროების" ცნობა ტყუილიაო. თუ რომ გამგეობამ სთქვა სიცრუე, თქვენ ვალდებული იყავით უარ-გეყოთ გამგეობის ეს საჯაროთ ნასროლი ბრალდება და მაშინ ჩვენც გამგეობასთან გვექნებოდა საქმე რევიზიის შესახებ. ამას თუმცა

სუბითათ საკამათო საგნისთვის დიდ ნიშვნელობას არ ვაძლევთ, მარა ეს მოიწვია იმან, რომ თქვენ თვითონ აწერდით ჩვენ „სადაო საგანში სიცრუის შეპარებას", თუმცა ფაქტი არ გყავდათ, და ეს მაშინ, როცა თქვენ თონ ასაღებდით ტყუილ ცნობებს „ჭეშმარიტებათ" და ჩვენ იძულებული ვიყავით სიმართლე აღგვედგინა.

დასასრულ «დროება" გვირჩევს: „ურიგო არ იქნება გაზეთმა „მომავალმა" მეტი წინდახედულება და აზრიანობა დაიცვას ხოლმე სჯა-ბაასის დროსო".

„დროება" რომ მართლა ერთი წუთით მაინც დაიცავდეს „სჯა-ბაასის დროს მეტ წინდახედულებას და აზრიანობას" ჩვენ შორის ამ კითხვაში თითქმის არაფერი იქნებოდა სადაო და ისიც ჩვენთან ერთად მოითხოვდა საგანგებო კომისიას, მარა „დროებამ" ვერ გამოიჩინა საჭირო „წინდახედულება და აზრიანობა" და ვეჭვობ, რომ შემდეგშიაც მოახერხოს ეს!

გალიორკა.

ახალი ამბები

—

3½ მილიონი მან. სესხი. თფილისის შუამდგომლობა 3½ მილიონ მან. სესხის შესახებ მინისტრთა საბჭოს კომიტეტმა შეიწყნარა და როგორც დღევანდელი დეპეშა გადმოგვცემს პეტერბურგიდან, კიდეც წარუდგენიათ უმაღლესათ დასამტკიცებლათ.

◆ **ჯარიმის გადახდევნება.** ქალაქის გამგეობამ წერილობით მოსთხოვა უსახელო საზოგადოების დირექტორს, რათა მან დაუყონებლივ წარმოადგინოს 15,665 მან. საჯარიმო გადასახადი, რომელიც ქალაქს ხსენებულ საზოგადოებიდან ერგება.

◆ **ელექტრონის სადგური.** ქალაქის გამგეობამ წინადადება მისცა ინჟინერ გირზეს რათა ის დაუყონებლივ ელექტრონის ცენტრალურ სადგირის აგების საქმეს შეუდგეს.

◆ **პასუხის გებაში აძლევენ** თფილისის სახლის მეპატრონეებს: კვიატკოვსკის ცვერიკმაზოვას და ნ. ნაზარეტოვას შენობების შესახებ ქალაქის სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის.

◆ **ქართულ გიმნაზიის ღარიბ** მოსწავლეთა სასარგებლოთ საშობაო უქმეების წინა დღეებში ხსენებულ გიმნაზიის შენობაში წარმოდგენა გაიმართება.

◆ **ახალი კლუბი.** ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში დღეს დანიშნულია კრება ხსენებულ კლუბის მამასახლისებისა შენობის დაქირავების შესახებ მოსალაპარაკებლათ.

◆ **ცეცხლიდან დაზარალებულ სურამელების** სასარგებლოთ სცენის მოყვარე ებრაელებს განზრახვა აქვთ 22 ამა დეკემბერს წარმოდგენა გამართონ სახალხო სახლში.

◆ **ხმოსანთა კერძო თათბირი.** 16 დეკემბერს თფილისის საბჭოს ხმოსნებს კერძო თათბირი ქონდა იმის შესახებ, თუ ვინ წამოაყენონ კანდიდატათ ქალაქის გამგეობის წევრის თავისუფალ ადგილზე. გამგეობის ახლანდელ წევრის კოჩაევის გარდა, რომელსაც სამსახურის ვადა გაუდის, კანდიდატათ დასახელებულნი არიან ხმოსნები ჯაფარიძე, ხუნუნცი და ვექილი ათაბეგოვი.

დახმარება სასწავლებელს. სიღნაღის ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა ადგილობრივ საქალებო მარიამის სასწავლებელს ყოველ-წლიურათ 100 მ. დახმარება აძლიოს, რადგან ხსენებულ სასწავლებლისთვის საქალებო პროგიმნაზიის უფლება მიენიჭებია სამოსწავლო მთავრობას.

◆ **მიქიაშვილის საქმე.** ამ დღეებში, ადესის სამოსამართლო პალატაში გაირჩა საქმე ცნობილ მიქიაშვილისა, რომელიც წინათ გურიაში მსახურებდა. მას ბრალს სდებდენ ხაზინის ფულის გაფლანგვა-მითვისებაში. პალატამ მას 3 წლით გამასწორებელ რაზმში გაგზავნა მიუსაჯა. სასამართლოს განაჩენი შეუსრულებელი დარჩება მანამ, სანამ არ გაარჩევენ მიქიაშვილის სხვა დანაშაულებებს, რომელიც მას კავკასიაში ჩაუდენია სამსახურის დროს.

◆ **ბაქოს ნავთის მრეწველთა დადგენილება.** ამ დღეებში ბაქოს ნავთის მრეწველებმა დაადგინეს გახსნან თავიანთ ხარჯით საშუალო-სასწავლებელი, თუ ნავთის ადგილს „პასადის" უფლება ექნება მინიჭებული.

◆ **სიღნაღის გიმნაზიის სასარგებლოთ** კერძო პირთაგან ფულის შეკრების ნება დართო თფილისის გუბერნატორმა სიღნაღის მაზრის უფროსს.

◆ **პოეტ ვაჟა-ფშაველამ** პირადი თხოვნით მიმართა თფილისის გუბერნატორს, რათა მან დანიშნოს ის მომრიგებელ შუამავლათ თიანეთის მაზრაში, სადაც ის აღიზარდა და ადგილობრივ მცხოვრებთა ზნე-ჩვეულებას დაახლოვებით იცნობს.

◆ **ქუთაისიდან გვატყობინებენ** რომ იქ შეუპყრიათ ფოთელი ნოქარი დ. ბოკერია, რომელსაც აღმოაჩნდა 1500 პატრონა. ბოკერიასთან შეიპყრეს ადგილობრივი ებრაელი მ. ციციაშვილი.

◆ **ავაზაკის მოკვლა.** თელავიდან ცნობა მოვიდა, რომ, ს. ყურდღელაურში ადგილობრივ პოლიციას მოუკლავს ავაზაკი, ს. იყალთოს მცხოვრები ლ. ძამუკრიშვილი, რომელიც მონაწილეობას ღებულობდა იოსებ იარალოვის, მიხეილ სისოევის გატაცებაში და სხვა ბოროტმოქმედებაში. („კავკ".)

† **ვახტანგ ქამუშაძის გარდაცვალება.** თფილისის მიხეილის საავათმყოფოში გარდაიცვალა შორაპნის მაზრის, სოფ. ქორეთის მცხოვრები ვახტანგ ქამუშაძე, რომელიც ამ ერთი კვირის წინეთ სასიკვდილოთ დასჭრეს თავის სოფელში. მკვლელობა კერძო ნიადაგზე უნდა იყოს მომხდარი. ვახტანგი ცნობილი იყო როგორც შორაპნის მაზრაში, ისე ქუთაისში და თფილისშიაც, როგორც დაუღალავი და შეუპოვარი მეჭირისუფლე მშრომელი ხალხის კეთილდღეობისა. მან მთელი თავისი ახალგაზდობის საუკეთესო დღენი ხალხის სამსახურს შესწირა ისე, რომ ერთხელაც არ დაუკარგავს იმედი უკეთესი მომავალისა, ერთხელაც არ უღალატნია თავის რწმენისა და მისწრაფებისათვის. ის 35 წლის იყო და ცხადია, ბევრის გაკეთება შეეძლო, რომ უპატიოსნო და ბოროტ ხელს უდროოთ არ მოესპო მისთვის სიცოცხლე.

◆ **ფულის შოვნაც ასე უნდა!** 16 დეკემბერს ჯარში გასაწვევ სალდათმა კ. ე. ვარტუნიანცმა პოლიციას განუცხადა, რომ ბორჩალოს მაზრის მცხოვრებმა ვ. ა. მნაცაკანიანცმა მისგან 3 მ. 50 კ. აიღო, რისთვისაც სალდათობიდან განთავისუფლება აღუთქვა, მაგრამ, როცა მნაცაკანიანცმა თვალში ამოსასვები რაღაც წამალი მისცა და ამაზე ის არ დაეთანხმა, მნაცაკანიანცი ფულიანათ სადღაც მიიმალა. მნაცაკანიანცი პოლიციამ შეიპყრო და სამართალში მისაცემათ გამომძიებელთან გაგზავნა.

◆ **ნავთლუღის სკოლა.** ნავთლუღში არსებობს ერთად ერთი ქართული სკოლა ადგილობრივ ღარიბ მცხოვრებთა ბავშვებისთვის. ხსენებულ სკოლაში იმართება საშობაო დღესასწაული. მიიღება შემოწირულება—ნივთებით თუ ფულათ ნინო ნაკაშიძესთან, ოლგის ქუჩა № 56; ნავთლუღში პრიბილსკაი ქუჩ., ქ-ნ აპსილიძესთან; ავლაბარში კ. კაპანაძისას, ბებლაროვის ქუჩა № 2.

◆ **სასამართლო.** ამა წლის 22 დეკემბერს ქუთაისის საოლქო სასამართლოში ირჩევა საქმე ალ. სპირ. მელიას მკვლელობის შესახებ. განსვენებული ალ. მელია მოჰკლეს აბაშის უბნის ჩაფრებმა: სულეიმანი ოქროპირ-ოღლიმ, სიმონ ნიკოლაიშვილმა და უკვე გარდაცვალებულმა ხასან ტაკიძემ სოფელ კაპანოში. ორი ამ უკანასკნელთაგანი: სულეიმანი ოქროპირ-ოღლი და სიმონ ნიკოლაიშვილი საბრალდებულო აქტის ძალით მიცემული არიან პასუხისგებაში, როგორც წინდაწინ განზრახ ურთიერთ შორის მოლაპარაკებით მოწყობილი მკვლელობისათვის ჩამდენნი, რომ განსვენებული ალექსანდრე მელია მოკლათ და გაეძარცვათ, რომელიც სისრულეში მოიყვანეს 1907 წ. 1 ნოემბერს. ეს დამნაშავე პირნი ეხლა სხედან ქუთაისის საპყრობილეში და პასუხისგებაში არიან მიცემულნი. საქმეს დაიცავს ნაფ. ვექილი მოსე ქიქოძე.

—

შეცდომის გასწორება. „მომავალი"ს გუშინდელ ნომერში დაბეჭდილ ს. დ. წერილში პირველ სვეტზე სწერია: ნუ თუ თავად-აზნაურობა კიდევ წარმოადგენს და სხვა. უნდა იყოს: „ნუ თუ ჩვენი თავად-აზნაურობა წარმოადგენს და სხვა".

უკანასკნელი ფოსტა

შორეული აღმოსავლეთი

ჯარების გადაყვანა. ვლადივასტოკიდან „რუს. სლ." დეპეშით ატყობინებენ, რომ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ჩრდილოეთი მხრით უკანასკნელ ხანებში ჯარების შეუწყვეტელი მოძრაობაა.

იაპონია და კორეია. „ტაიმს" ტოკიოდან ატყობინებენ, რომ იაპონია კორეიის წინააღმდეგ გადაწყვეტილ მოქმედების დაწყებას აპირებს, რადგან ადგილობრივი ადმინისტრაცია კორეის მცხოვრებთა მოძრაობას მხარს უჭერსო.

საზღვარ-გარეთ

კუკის გაპარვა. ნიუ-იორკიდან „რუს. სლ." დეპეშით ატყობინებენ შერცხვენილი კუკი უკვალოთ დაიკარგაო. მოგზაურობის შესახებ წაკითხული ლექციებიდან კუკს აუღია 12,000 დოლარი სხვადასხვა გაზეთების რედაქციებიდან წერილების დასტამბისათვის 28,000 დოლარი.

სუფრაჟისტკების ოინები. 8 დეკემბერს ლივერპულის ამრჩევლების კრებაზე მინისტრ ასკვიტს სიტყვა უნდა წარმოეთქვა. როდესაც ასკვიტი სახლიდან გამოვიდა და ავტომობილში ჯდებოდა, ჩასაფრებულმა სუფრაჟისტკებმა მას ლიმონათის ბოთლები ესროლეს. მინისტრს ბოთლები არ მოხვედრია. სუფრაჟისტკები პოლიციამ დაატუსაღა.

კეირ-გარდის სიტყვა. გლაზგოში „პირვედ." სიტყვით, დიდი საარჩევნო კრება გაიმართა, რომელზედაც სიტყვა წარმოსთქვა მუშათა პარტიის ბელადმა კეირ გარდიმ. მან, სხვათა შორის, განაცხადა: „თქვენ პარლამენტში უნდა გაგზავნოთ ძლიერი მუშათა პარტია, რომ მაგარი ლაგამი ამოსდოს ინგლისის „ბულდოგებს", რომელთაც სისხლი სწყურიათ და გერმანიასთან საომრათ მიიწევენ. გარწმუნებთ, გერმანიის მუშათა პარტიაც ღირსეულათ მოიქცევა თავის ქვეყანაში. ნუ თუ ჩვენ, ლორდების სურვილის დასაკმაყოფილებლათ უნდა შევებრძოლოთ ჩვენს თანამოაზრე გერმანელ ამხანაგებს და მათი სისხლი უნდა დავღვაროთ? ნუ თუ ამდენი ტანჯვით და შრომით შეძენილი სახელმწიფოს ქონება ამ უსამართლო სისხლის ღვრაზე უნდა დაიხარჯოს? არასოდეს! მე შეუძლებლათ მიმაჩნია ომი გერმანიასა და ინგლისს შორის".

რუსეთი.

რუსეთ-იაპონიის დაახლოვება. რუსეთის მთავრობა სხვადასხვა ღონეს იღებს, რომ იაპონიას დაუახლოვდეს. „რუს. სლ." გადმოცემით სავაჭრო მინისტრს, ტიმაშევს და ფინანსთა მინისტრს, კოკოვცევს აზრათ აქვთ დაარსონ რუსეთ-იაპონიის სავაჭრო პალატა.

მთავრობამ დაამტკიცა რუსეთ-იაპონიის „საზოგადოების" წესდება, „საზოგადოებას" მიზნათ აქვს რუსეთ-იაპონიის დაახლოვება ორივე ქვეყნის ლიტერატურის, მეცნიერების და ხელოვნების შესწავლის საშვალებით. „საზოგადოება" გამართავს ლექციებს, კონფერენციებს, გამოფენებს და სხვ... ამ გვარი „საზოგადოებანი" უკვე არსებობენ ლონდონში, პარიზში და ტოკიოში.

„ჭეშმარიტთა კავშირში". 12 დეკემბერს პეტერბურგში შესდგა ჭეშ. რუს. კავ. უმთავრესი საბჭოს კრება, რომელზედაც განიხილეს პროვინციალური განყოფილებების მდგომარეობა. კრებამ ერთხმათ აღნიშნა პროვინც. განყოფილებების სრული გახრწნა და დაუძლურება. საბჭომ გადასწყვიტა სპეციალური აგიტატორები დაგზავნოს პროვინციებში შავრაზმულ მოქმედების გამოსაცოცხლებლათ.

1 მაისის დღესასწაული. შეკითხვების კომისიამ უარყო ს. დ. ფრაქციის შეკითხვა 1 მაისის დღესასწაულზე ადმინისტრაციის უკანონო მოქმედების შესახებ. კომისიის შეხედულებით, პირველი მაისის დღესასწაულს მუშების უმრავლესობა არ თანაუგრძნობს. გარდა ამისა, ბევრ ალაგას 1 მაისს უწესოება ხდება და ადმინისტრაციაც ვალდებულია ამის წინააღმდეგ საჭირო ზომები მიიღოსო.

პროვოკატორი

—

პეტერბურგში პოლკოვნიკ კარპოვის მკვლელზე ახალი ცნობები ვრცელდება. მიხეილ ვოსკრესენსკის ორი გვარი გამოუცვლია: პრეობრაჟენსკი და პეტროვი. მას პარტიულ წრებში 6 წლის განმავლობაში „პოპოვიჩის" სახელით იხსენიებდენ—ის მაქსიმალისტთა ჯგუფს ემხრობოდა. ერთი ტერორისტული აქტის გამო პრეობრაჟენსკი რუსეთში დაატუსაღეს, მაგრამ გაიქცა და პარიზში ამოყო თავი. პარიზის ემიგრანტებში ის ცნობილი იყო, როგორც მებრძოლი—მაქსიმალისტი. აზეფის პროვოკატორული მოქმედების გამოაშკარავების შემდეგ პოლიციის დეპარტამენტის უფროსი ვისარიონოვი პარიზში მივიდა დაწეწილი საქმეების მოსაგვარებლათ. აზეფმა ვისარიონოვის პრეობრაჟენსკი წარუდგინა, როგორც გამოცდილი პირი, რომელსაც პოლიტიკურ დევნაში დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია პოლიციის დეპარტამენტისათვის. პრეობრაჟენსკის ვისარიონოვისთვის განუცხადებია, რომ რევოლიუციონერების მოქმედებაში გული გამიტყდა, ემიგრანტების წრეები მეძაგება და მსურს დახმარება გავუწიო რევოლიუციონერების დატუსაღებაშიო. პირობების შესახებ შეთანხმდენ და პრეობრაჟენსკი სამსახურში შევიდა ჟ გერასიმოვის ხელმძღვანელობის ქვეშ იქნა დატოვებული. გერასიმოვმა პრეობრაჟენსკის უთხრა: შენ ტერორისტების წრეებში დარჩები და მოსალოდნელ ტერორისტულ აქტების შესახებ ცნობები უნდა მოგვაწოდოო. პრეობრაჟენსკიმ რევოლიუციონერებში სახელის აღსადგენათ გერასიმოვს სთხოვა გაენთავისუფლებია მისი ამხანაგები, რომელნიც სარატოვის ციხეში ისხდენ. გერასიმოვი დათანხმდა. პრეობრაჟენსკი ბურცევმა მიაგნო და ურჩია არჩეული გზისათვის თავი დაენებებია. პრეობრაჟენსკიმ კატეგორიული უარი უთხრა: სამსახურს მინამდე არ დავანებებ თავს, სანამ დახოცილი ამხანაგებისათვის მთავრობას სამაგიეროს არ გადავუხდიო. ამის შემდეგ პრეობრაჟენსკიმ ს. რ. პარტიას მიმართა და თავისი პროექტი გააცნო. მას მოქმედების თავისუფლება ექნა მინიჭებული. გერასიმოვის წასვლის შემდეგ პრეობრაჟენსკიმ კარპოვის უფროსობის ქვეშ განაგრძო მოქმედება. გერასიმოვს არა ერთხელ გაუფრთხილებია მთავრობა: პრეობრაჟენსკის უნდა ერიდოთ—ეს ორპირი ადამიანიაო. მიუხედავათ ამისა, კარპოვი სრული ნდობით ეკიდებოდა პრეობრაჟენსკის და მისი სამსახურითაც ფართოთ სარგებლობდა. ემიგრანტებს არ მოსწონდათ პრეობრაჟენსკი, რომელიც პარტიის მეთაურებს უმოქმედებაში საყვედურს ეუბნებოდა. ბურცევი შეუწყვეტლივ თვალ-ყურსადევნებდა პრეობრაჟენსკის მოქმედებას. ერთი პარტიული წრის გაცემის შესახებ ეჭვი პრეობრაჟენსკზე მიიტანეს. დაინიშნა პარტიული სასამართლო, რომლის წევრებათ იყვენ: ჩერნოვი, რუბანოვიჩი, ციონგლინსკი და ერთიც სხვა. პრეობრაჟენსკის სასამართლოს წინაშე თავი ამაყათ ეჭირა, უარსყოფდა ყველა ბრალდებას და სასამართლოსაც გადაწყვეტილი დადგენილება არ გამოუტანია. ბურცევი იმ აზრისა დარჩა, რომ პრეობრაჟენსკი ძალიან საშიში პროვოკატორიაო. პრეობრაჟენსკი პეტერბურგში ორი კვირის წინათ მოვიდა და კარპოვს განუცხადა: სოციალისტ-რევოლიუციონერებმა კიევში მომხდარ სიეზდზე დაადგინეს განაახლონ ტერორისტული მოქმედება ყოველ ადგილებშია. ახლო მომავალში დიდი ტერორისტული აქტი მზადდება, რომელსაც დიდი ზარალი მოყვება მთავრობისათვისო. კარპოვი ამან იმდენათ გაიტაცა, რომ დაუყონებლივ უმაღლესი მთავრობის წარმომადგენელს აცნობა ყველაფერი.

პრეობრაჟენსკის სიტყვით, რევოლიუციონერები, რომელთაც ტერორისტული აქტები სისრულეში უნდა მოეყვანათ, პეტერბურგში უნდა მისულიყვენ თერთმეტ დეკემბერს. მას, პრეობრაჟენსკის, რევოლიუციონერებისათვის ბინა უნდა მოემზადებინა და ყველაფერი უნდა მოეწყო მოსალოდნელი აქტისათვის.

„თქვენ მათ, ყველას ხელში ჩაიგდებთ—ეუბნებოდა ის კარპოვს და ურჩია რევოლიუციონერებისათვის კონსპირატიული ბინა მოემზადებიათ.

კარპოვი ძალზე აღელვებული იყო ამ სხვილი „საქმის" მოლოდინით. მას ხელში უნდა ჩავარდნოდენ ტერორისტების მეთაურები.

ამნაირათ ეწეოდა პრეობრაჟენსკი ორმაგ თვალთ-მაქცობას და მახეს ამზადებდა კარპოვისათვის. კარპოვს უკანასკნელ დღეებში ნერვების აშლა დაეტყო და პრეობრაჟენსკის არავის აკარებდა. მთელი საქმის გამოაშკარავების სახელი მარტო თავისთვის სურდა დაეტოვებინა. კარპოვს ტყუილა აფრთხილებდენ პრეობრაჟენსკისთან თავის დაჭერაზე, ის მას ისე ენდობოდა, როგორც საკუთარ თავს.

ამ პროვოკატორულ მოქმედებას შედეგათ მოყვა პოლკოვნიკ კარპოვის აფეთქება.

პრეობრაჟენსკი-ვოსკრესენსკის თავი ულაპარაკოთ უჭირავს და ჩვენებას არ იძლევა მომხდარი უბედურობის შესახებ.

პოლიცია გაფაციცებით დაეძებს ორ უცნობს, რომელნიც პრეობრაჟენსკის საზღვარ-გარეთიდან ჩამოყოლია ორი კვირის წინათ. („რუს. სლ.")

წერა-კითხვის საზოგადოება

(დასასრული)

მდივანი. მეშვიდე მუხლია წიგნების ბეჭდვა.

ხრამელიშვილი. [illegible] მოსახოვს სწავლება სამშობლო ენაზე დაწესდეს, სახელმძღვანელოები კი არა გვაქვს. ამ მხრით „საზოგადოებას" ბევრი არაფერი გაუკეთებია.

პ. ჭიჭინაძე. ბევრი ისეთი წიგნებია დაბეჭდილი, რომელიც არ ვრცელდება. საჭიროა ისეთი წიგნები იბეჭდებოდეს და ვრცელდებოდეს, რომელზედაც მოთხოვნილება არის.

მდივანი. მერვე თავი: საზოგადოების წიგნთ-საცავი და მუზეუმი.

ჭიჭინაძე. მე კითხვა დავაყენე: იყო მუზეუმის და წიგნთ-საცავის რევიზია თუ არა? ზოგი ამბობს, გავაკეთეთო, ზოგი—ვცდილობდითო. თქვენ გიკვირთ, რომ ჩვენ ანგარიშს ვერ ვამტკიცებთ. მომავალი კრება ჩვენ შეგვკითხავს: რაზე აწერდით ხელს ისეთ რამეს, რისი პასუხისგებაც არ შეგეძლოთო? გამგეობა გამოურკვეველ მდგომარეობაშია და არც ჩვენ შეგვიძლია ანგარიშს ხელი მოვაწეროთ.

კარიჭაშვილი. მუზეუმის რევიზიის მოხდენა ზაფხულში ვცადეთ, მაგრამ ვერ შევსძელით წესი დაგვემყარებია უადგილობის გამო და ამიტომ ვერ მოვახერხეთ მუზეუმის ქონების აღწერის შედგენა.

გარსიაშვილი. თუ მუზეუმის ნივთები მართლა იკარგება, უმჯობესია მუზეუმის კარებს ბეჭედი დაედვას.

თავმჯდ. განვიხილოთ წიგნებით ვაჭრობის საკითხი.

პ. ჭიჭინაძე. ანგარიშის მეცხრე თავი ეხება წიგნებით ვაჭრობას. აქ ნაჩვენებია: 2,282 მ. და 7 კაპეიკია დაკარგული. წარსულ კრებაზე გოგიჩაიშვილმა კითხვა ასე დააყენა: ჩვენი ანგარიშის წარმოდგენის შემდეგ იმის თქმა, რომ კრება ანგარიშს არ დაამტკიცებსო, შეუწყნარებელია. დაკარგული ქონების შესახებ გოგიჩაიშვილი ამბობს, რომ აქ გამგეობა არაფერ შუაშია, „საზოგადოების" ქონების დაკარგვა სავსებით უნდა მივაწეროთ იმ არა-ნორმალურ მდგომარეობას, რომელიც უკანასკნელ წლებში განვიცადეთო. ბ-ნი გოგიჩაიშვილი გვეუბნება: 1905 წ. ქუჩაზე თოფიანები იდგენ და კრებებს ვერ ვახდენდითო. 1903 წ. განა ამისთანა შიშიანობა იყო? თუ გოგიჩაიშვილს განსაკუთრებული წესები აქვს მხედველობაში, ის რუსეთში მე-80 წლებიდან არსებობს. ჩვენთვის საჭიროა ვიცოდეთ, ქონდა თუ არა წინანდელ გამგეობას ცნობა ბოროტ-მოქმედების შესახებ? და თუ ასეთი ცნობები ქონდა, რატომ არ მიაქცია ყურადღება და ზომები არ მიიღო? ასეთი გამგეობა დამნაშავის სკამზე უნდა იქნას დასმული. რა მიზეზია წიგნების დაკარგვისა? ეს გამორკვეული არ არის. მაშ, ჩვენ საბუთი გვაქვს გამგეობას ვუსაყვედუროთ უმოქმედობა. გამგეობის წევრი (ფირცხალავა) სარევიზიო კომისიამ შეუწყნარებელია. პირადათ მე მეჭვი არ შემაქვს ბ-ნ ფირცხალავას შესახებ, მე მხოლოდ ფორმალურათ შევნიშნავ, რომ ასეთი წესი შემოღებული არ არის და ამისი აღუნიშნველობა არ შეიძლება. მოახდინეს წიგნის მაღაზიის რევიზია და ამის შემდეგ თვითონ მაღაზიის გამგეს, ქუჩუკაშვილს მიანდვეს დანაკლისის შემოწმება. საზოგადოების წინაშე დამნაშავეა სარევიზიო კომისიაც და გამგეობაც. გამგეობა ამბობს: დამნაშავეა ქუჩუკაშვილი და მდივანიო. მეორე პასუხისმგებლის შესახებ გამგეობა ბოლოს კითხვას ხსნის. მე გეკითხებით: ბუხგალტერმა რატომ ვერ შეამჩნია, რომ 1,500 მანეთის წიგნი იყო ფასდადებით გაგზავნილი და დოკუმენტები კი არც ერთი კაპეიკის ხელში არ ქონდა? აქ პასუხის მგებელია ქუჩუკაშვილიც, მდივანიც, ბუხგალტერიც და გამგეობაც. იურიდიულ პასუხისმგებლობაზე ლაპარაკი შეიძლება, მაგრამ ამას ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენ გვაინტერესებს რა მდგომარეობაშია „საზოგადოების" სხვა ქონების მდგომარეობა და ამისათვის მოვითხოვთ საგანგებო კომისიის დანიშვნა. კერძოთ ჩემს აზრს თუ თხოულობთ ჩადენილ ბოროტ-მოქმედების შესახებ, მე მსურს მხოლოდ რომ ასეთ ბოროტ-მოქმედებას „საზოგადოებაში" ადგილი არ ქონდეს.

კარიჭაშვილი. მე გამგეობის ერთი ძველი წევრთაგანი ვარ, მაგრამ ბოროტ-მოქმედების შესახებ რევიზიამდე არაფერი გამიგონია. მას შემდეგ, რაც მდივნობას თავი დავანებე, საქმეებთან ახლოს არ ვიდექი. ფუფხვის-ტყაოსნის დაკარგვა მოხდა 13—14 წლის წინათ. დამნაშავეც ვიპოვეთ და ზარალიც აღვადგინეთ. ბოროტ-მოქმედება გამგეობის წევრებს არა სცოდნიათ. შესაძლებელია ეს ბოროტ-მოქმედება განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს მოხდა.

ი. მერკვილაძე. მე ბოროტ-მოქმედება შევამჩნიე 1904 წ. და ეს გარემოება რამოდენიმეჯერ განვუცხადე შ. ქუჩუკაშვილს ფირცხალავასაც ვაცნობე.

ირ. რამიშვილი. „საზოგადოებაში“ ფეხი მოიკიდა ბოროტ-მოქმედებამ იმიტომ, რომ საქმის წარმოება არ არის სასურველ ნიადაგზე დაყენებული.

მდივანი. თქვენ ანგარიშიდან შეგიძლიათ დარწმუნდეთ, რომ „საზოგადოების“ ქონებას ჩემი მდივნობის დროს თანდათან უმატნია წინა წლებთან შედარებით. მით ქუჩუკაშვილი მაღაზიას ავტონომიურათ განაგებდა. მე მხოლოდ რევიზიის საშუალებით შემეძლო თვალ-ყური შედევნებია მაღაზიისათვის. ქუჩუკაშვილს რამდენჯერმე მოვსთხოვე დავთრები, მაგრამ ვერ ვედირსე. მე მაინც დავითვალე წიგნები და დანაკლისი მოვახსენე თავმჯდომარეს 1907 წ. 1909 წ. გამგეობამ დანიშნა რევიზია და რაც გაგეთა, კიდევაც მოგახსენდათ წინა კრებაზე.

ნ. ელიავა. ფაქტიური რევიზია არც 1909 წ. მოუხდენიათ. ფაქტიური რევიზია რომ მოეხდინათ, ზარალსაც სავსებით გავიგებდით და იმასაც შევიტყობდით, თუ საიდან მომდინარეობს ეს ბოროტ-მოქმედება. მე დაინტერესებული ვარ გამოირკვეს რა დროს რა დაკარგულა. წიგნების გამოცემის და გაყიდვის ცნობები თქვენ საშუალებას მოგცემსთ გამოარკვიოთ დანაკარგი. ამიტომ ვიყავი წინა კრებაზედაც კომისიის დანიშვნის მომხრე. პასუხისმგებელი არის გამგეობის ყოველი წევრი—ახალიც და ძველიც, რადგან უმრავლესობა ახალი გამგეობისა წინანდელი გამგეობის წევრები იყვნენ.

კარიჭაშვილი. დავთრების საშუალებით არ შეიძლება დანაკარგის გამოკვლევა და კომისიაც ვერაფერს გააკეთებს.

ფ. გოგიჩაიშვილი. რათ არ შეასრულა გამგეობამ 1903 წ. კრების დავალება? ეს სარევიზიო კომისიის წევრებს კითხეთ. ამბობენ, გამგეობამ იცოდა წიგნები რომ იკარგებოდა და ყურადღებას არ აქცევდაო. ეს დიდი ბრალდებაა. ამის წამოყენება მაშინ შეიძლება, როცა ბრალმდებელს რაიმე საბუთი აქვს. მერკვილაძემ ქურდობაზე მიმითითა მხოლოდ რევიზიის დროს. წინათ არაფერი ვიცოდით. გვისაყვედურებენ, ს. ფირცხალავა, როგორც მდივანი და გამგეობის წევრი, სარევიზიო კომისიაში არ უნდა ყოფილიყოო. ის არჩეულია თქვენგან და ნდობაც უნდა ქონდეს თქვენი. ის სარევიზიო კომისიაში იყო, როგორც საქმის მცოდნე პირი და არა როგორც დაინტერესებული მხარე. ის მარტო მდივანი არაა, ის გამგეობის წევრიცაა და უფლება ქონდა სარევიზიო კომისიაში შესულიყო. ქუჩუკაშვილის დრობითი მაღაზიაში დატოვებას, ბოროტ-მოქმედების აღმოჩენის შემდეგ, მოითხოვდა ერთი გარემოება. იყო ისეთი ანგარიშები, სადაც მისი დანიშნულება ჯერ გამორკვეული არ იყო როდესაც უთველივე გამოვარკვიეთ, კიდევაც დავითხოვეთ. მდივანიც დამნაშავეთ ვსცანით, მაგრამ არაფერი სასჯელი დავგიდვია. ეს თქვენ თვითონ იცისრეთ და თუ თქვენ არ იცისრებთ, მაშინ ჩვენ შევასრულებთ თუ კრება პასუხის-მგებლათ გვიცნობს, ჩემს ხვედრს, როცა დამაკისრებენ, მეც გადვიხდი. სასამართლოში დამნაშავეების მიცემა, ჩემი აზრით, ჩვენი საქმეებისათვის საზიანო იქნება და პრაქტიკულ შედეგებს კი არ მოგვცემს. გამგეობის წევრები თავს დამნაშავეთ არ სცნობენ და სასამართლოსაც არ შეუძლია მათ რაიმე პასუხისმგებლობა დააკისროს.

ნ. ელიავა. ახლანდელი გამგეობა ძველის გაგრძელებაა და ბოროტ-მოქმედებაში პასუხისმგებელიც არის. მე არ ვარ მომხრე, რომ საქმე უსათუოთ სასამართლომ გადასწყვიტოს, მაგრამ თუ კი დამნაშავის ვინაობა გამოირკვა, შესაძლებელია ზნეობრივათ მაინც ვაიძულოთ ზოგიერთი დამნაშავე, ზარალის ნაწილი ადგინოს. გამგეობის სიტყვით, ბოროტ-მოქმედება 1905 წლიდან იწყება, მაშასადამე, 1903 წელს არჩეულ სარევიზიო კომისია, აქ არავითარი პასუხი არ მოეთხოვება. ახალი გამგეობა ვალდებული იყო ძველი გამგეობისაგან ქონება სავსებით ჩაებარებია და ჩაბარებულ ქონების გაფლანგვაზე პასუხიც უნდა აგოს.

ჰ. ქიქინაძე. ბუხგალტერი არის თუ არა პასუხისმგებელი?

გოგიჩაიშვილი. იმის პასუხისგება ძნელია. მისი გამამტყუნებელი საბუთი არა გვაქვს.

ჰ. ქიქანაძე. წაიკითხეთ ქუჩუკაშვილის მოხსენება.

მდივანი კითხულობს ქუჩუკაშვილის მოხსენებას, რომელიც გამგეობას სთხოვს გამგეობის საქმის გამოსარკვევათ სხვა პირობებიც მოიწვიოს. პასუხისმგებლობის მარტო ჩემზე გადმოტანა ძნელიაო,—სწერს ქუჩუკაშვილი, მე ისეთ პირობებში მიხდებოდა მუშაობა, რომ წიგნების დაკარგვა მოსალოდნელი იყო. დანაკლისის ნაწილი ჩემი ჯიბიდან აღვადგინე. ბოროტ-მოქმედების სურვილით რომ ვყოფილიყავი გატაცებული, შემეძლო მეტი ზარალი მომეტანა. არც მითქვამს და არც ვამბობ, დამნაშავე არ ვიყო. დამნაშავე ვარ, მაგრამ საზოგადო პირობების გამო ფიზიკურათ შეუძლებელი იყო მთელი საქმეების პასუხის-მგებელი მე ვყოფილიყავი. მე საზოგადოებას ვსთხოვ, ბოროტ-გამზრახველის სახელი არ მიწოდოს.

ნ. ელიავა. მთელი ზარალის ქუჩუკაშვილზე დატეხა შეუძლებელია. თქვენ ყურადღება უნდა მიაქციოთ იმ პირებსაც, რომელნიც მასთან ერთათ მოქმედებდენ. თქვენ თუ საქმეს დაწვრილებით გამოიძიებთ, ქუჩუკაშვილის დანაშაულობა უსათუოთ შემცირდება.

დავიდოვი. ყურადღებას ვაქცევ ქუჩუკაშვილის განცხადებას: იმაში არ დამსდოთ ბრალი, რაშიდაც მე არ ვსთვლი თავს დამნაშავეთო. გოგიჩაიშვილი აღნიშნავს, რომ ფასდადებით გაგზავნილი წიგნების ზარალი გამორკვეულია და ამაში ქუჩუკაშვილია დამნაშავეო. საიდან იცით, რომ ამ ფულს ქუჩუკაშვილი დაკარგული წიგნების ფულს არ აძლებდა? მე მომხრე ვარ კომისია დაინიშნოს და გამოარკვიოს: ვის რამდენი ბრალი უდევს დანაშაულობაში.

კრება დაიხურა 7 საათზე.

პროვინცია

ხიდისთავი (გურია). ამ უკანასკნელ ხანებში სხვადასხვა ბოროტმოქმედების აღმოსაჩენათ მთავრობამ გურიაში შემდეგი წესი შემოიღო: მოხდება თუ არა რომელიმე საზოგადოებაში მკვლელობა ან და დასჭრიან ვისმეს ისეთ პირს, რომელსაც რაიმე დამოკიდებულება აქვს მთავრობის მოხელეებთან , ადმინისტრაციის წარმომადგენელი უყრის თავს მთელ საზოგადოებას და თხოულობს ბოროტ განზრახველების გაცემას, ან მითითებას, თუ რომელ საზოგადოებაში გავიდენ დამნაშავეები აქტის ჩადენის შემდეგ. სანამ საზოგადოება არ დააკმაყოფილებს მთავრობის ასეთ მოთხოვნილებას, მანამ ისინი ვალდებულნი არიან ყოველ დღე დილიდან დაბნელებამდის თავმოყრილი იყონ კანცელიარიაზე. (რაც უნდა ცუდი დარი იყოს, ყრილობა ცას ქვეშ არის და არავის ნება არა აქვს სასადილოთ წავიდეს). რამოდენიმე პირები, საზოგადოების მიერ ამორჩეულნი, ეგრეთ წოდებული „ხევის თავები“ დადიან და იძიებენ თუ საით წავიდენ დამნაშავეები. აღმოჩნდება თუ არა მათი კვალი, მთავრობა მიერეკება მთელ ყრილობას ამ საზოგადოებისკენ. თუ რა გაჭირვებას განიცდის ამ დროს როგორც ის საზოგადოება, რომელსაც მეორე საზოგადოებაში მიერეკებიან, აგრეთვე ის, რომელიც ახალმოდის ეგზეკუციით დააჯილდოვეს, ეს ყველასათვის აშკარაა. ასეთი მაგალითი ნიგოითში მოხდა. როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ნიგოითში დასჭრეს ადგილობრივ მამასახლისის დარაჯი. მთავრობამ მოუყარა თავი მთელ საზოგადოებას და მოსთხოვა ავაზაკების მიცემა ან და მითითება, თუ რომელ საზოგადოებაში გავიდენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ეგზეკუციით დაემუქრა. შეშინებულმა ნიგოითლებმა ათქმევინეს მენავეს, რომ ბოროტმომქმედნი მე გავიყვანე ნავით და შემდეგ ისინი ბასილეთის საზოგადოებაში გაემგზავრენო. მეორე დღეს ნიგოითის საზოგადოება მორეკეს ბასილეთში და მთავრობამ მოითხოვა დარაჯის დამჭრელები. ბასილეთლებმა მოითხოვეს ხელახალი ჩვენების ჩამორთმევა მენავესაგან. მენავემ განაცხადა შემდეგი: „ჩემთან მოვიდა რამოდენიმე ნიგოითელი და მითხრა, რომ მეთქვა ის, რაც უკვე ნაჩვენები მაქვს, ამისთვის ორი მანეთიც კი მომცეს. ეხლა კი უნდა ვთქვა, რომ მე არავითარი ავაზაკები არ მინახავს და არც ნავზე გამიყვანია, შევცდი, ტყუილი მათქმევინეს“. ეს ჩვენება მენავემ ბოქაულთანაც გაიმეორა. ამის შემდეგ ბასილეთში მოხსნეს ნიგოითლების ეგზეკუცია. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მთელ საზოგადოებას ამაში წილი არ უდევს, ბევრმა არც ეხლა იცის, შესაძლოა, რომ მენავე მოისყიდონ; დარწმუნებული ვართ იმაშიაც, რომ ნიგოითლები ჩვენზე უწინ დაგმობენ ამ პირების საქციელს, რადგანაც მათი მოქმედება ჰქმნიდა ნიადაგს მეზობელი საზოგადოებების ერთი მეორეზე გადაკიდების, რაც ხელსაყრელი იყო მხოლოდ მტრისათვის ასეთ შემთხვევებში საზოგადოებებს მართებს ძალიან ფხიზლათ მოქმედება, თორემ შესაძლოა საქმე უსიამოვნებამდე მივიდეს. საჭიროა მოფიქრებულათ მოქმედება, ერთი მეორის დახმარება და რამდენათ შესაძლო იქნება, შეერთებულათ თავის დასაცველი საშუალებების გამონახვა. **—იმ.**

—

აკეთის საზოგადოებ. (გურია) იშვიათად შეხვდებით ისეთ ჩამორჩენილ საზოგადოებას, როგორც აკეთია, მიუხედავათ იმისა, რომ, ყველაზედ ნაკლები ხარჯი და ზარალი მოუვიდა მას რეაქციის დროს არავითარი კულტურული დაწესებულება არ არსებობს გარდა სკოლისა სკოლები თუმცა და არის, მაგრამ ბევრი იმის მომხრეც არის, რომ ისიც არ იყოს, რადგან ხშირათ გაიგონებთ, რომ ნასწავლმა ხალხმა დააქცია ქვეყანაო. ასეთი შეხედულების ერთობ ბევრია ჩვენში, რომლებიც დიდათ აფერხებენ სწავლის საქმეს. ამ გარემოებას ხშირათ ხელს უწყობენ ჩვენი სკოლის მასწავლებლები. ხშირათ უბრალო რამეზე ასტეხენ ჩხუბს და ერთ ალიაქოთს და ერთმანეთს ბოიკოტსაც უცხადებენ. ყველა ამას ხედავს სოფლის შეუგნებელი მასსა და გაიძახის: რათ მინდა მაგათთან გაზრდილი შვილი, თუ ასე უწესოთ მოიქცევიანო. სხვათა შორის სასწუხაროა ისიც, რომ ჩვენი მასწავლებლები არავითარ საზოგადო საქმეს არ კიდებენ ხელს, როგორც მაგ. წარმოდგენების გამართვა, სამკითხველოს მოწყობა და სხ. **მახლობელი.**

მუშათა შორის

ძანსული. (ართვინის ოლქი) აქ სპილენძის მადნის სარეცხ ქარხანაში უმეტესობას ქართველი მუშები შეადგენდა. თუმცა ყველაზე აუტანელი პირობები ამ ქარხანაში არის, მაგრამ უკანასკნელნი მაინც ამ ქარხანას ეტანებოდენ რადგანაც შედარებით სხვა დარგის მუშები მეტს ღებულობდენ. აქ მუშები ხშირათ ცამეტ საათს მუშაობენ. თუმცა განსაზღვრული 12 საათია, მაგრამ ადმინისტრაცია ისეთ ხრიკებს ხმარობს, რომ დილით, როცა მუშები მოდიან, მიდის მერმე ან ტაბელშჩიკი ან თითონ ქარხნების გამგე და საათს უკან დასწევს. მუშები „რასჩოტის“ შიშით ისე დამონებული არიან, რომ არავის კრინტი არ შეუძლია დასძრას ამათ წინააღმდეგ. ასეთ პირობებში მუშა მთელი დღის განმავლობაში მუშაობს. ისე თვე არ გაივლის, რომ აქ რაიმე უბედურება არ დატრიალდეს.

— სხვათა შორის, გავრცელებულია მექრთამეობა. „განათლებულ“ ადმინისტრატორებს (ადმინისტრატორები ინგლისელებია) თუ თითო ორ-ორი ბოთლი არ მიართვა მუშამ, ისე არ იღებს. ამიტომაცაა აქედან ქართველ მუშებს ერეკებიან და ნაცვლათ თათრებს ღებულობენ დაკლებულ ფასებში.

— 6 დეკემბერს ელექტრონის ტოკმა მოკლა სპარსეთის ქვეშევრდომი სულემან საუმანოღლი და ართვინის მცხოვრები სტეფანე ტერ-მარკარიანი.

ი. შეითან-ოღლი.

თეატრი და ხელოვნება

ბაქო. 6 დეკემბერს საზღვაო საკრებულოს შენობაში აქაური დრამატიული დასის მიერ წარმოდგენილ იქნა 5 მოქმედებიანი პოემა აკაკისა „თამარ ცბიერი“ ქართველთა შორის წ. კ. გ. საზოგადოების ბაქოს განყოფილების სასარგებლოთ. როცა თეატრში მივდიოდი, ვფიქრობდი, რომ ეს ისტორიული, დღევანდელი დღეს კი უმნიშვნელო პიესა იმიტომ გამოუქექია არხივში ჩვენ თავშეუწუხებელ დასს, რომ ერთხელ გაზეპირებული აქვს პიესა და ახალის, თანამედროვე პიესის შესწავლისათვის თავს არ იწუხებს მეთქი, მაგრამ თითქმის არც ერთმა მათგანმა როლი არ იცოდა. წინეთ თუ იცოდი კაცმა, რომ ეს პიესა გალექსილია და ძლიერ ჩაუკვირდებოდი, შეიძლება აქა-იქ მოგეკრა ყური, რამესათვის, თორემ ვერც კი გაარჩევდი-ლექსათაა დაწერილი თუ პროზათ. სწორეთ შესაბრალ სანახაობას წარმოადგენდა ზოგიერთი მოთამაშე, როცა აქა-იქ წაიბორკილებდენ და სუფლიოროს კარავს მიაშტერებდენ თვალებს; სუფლიორიც იძულებული იყო რაც ძალი და ღონე ჰქონდა ისე ეყვირა, ასე რომ, მეჩვიდმეტე რიგზე, სადაც ამ სტრიქონების დამწერი ვისხედი, გარკვევით მესმოდა იმისი ხმა. მთელ თამაშობაში მხოლოდ ერთად ერთი სცენა იქნა ისე გრძნობიერათ შესრულებული, ამ ერთად ერთმა რიგიანათ შესრულებულმა სცენამ ხანგრძლივი ტაშის ცემა გამოიწვია ხალხში. რომელიც, უნდა აღვნიშნო, ძლიერ ცოტა დაესწრა წარმოდგენას, რაც იმის მაჩვენებელია, რომ პიესა, როგორც თანამედროვე შინარსს მოკლებული, არ აინტერესებს ხალხს იმ ხალხს, რომელიც უფრო ეტანება დღეს ყოველივე კულტურულ საქმეს, მაგრამ ვექვობ, რომ ამას მიაქციოს ყურადღება ჩვენმა დრამატიულმა დასმა. ჩვენი პატრიოტები თითქმის არც ერთი არ დაესწრებიან წარმოდგენას. ისინი ვერ მოიტყუილა თეატრში ამ დღის გაზეთ „კასპში“ მოთავსებულმა წერილმაც, რომელიც აცნობდა ქართველ საზოგადოებას, რომ განსაკუთრებით ამ საღამოსთვის იკერება ახალი კოსტიუმები, მზადება აალი დეკორაციები და სხვა და იმედია, აქაური ქართველი საზოგადოება თანაგრძნობით მიეგებება ამ საღამოსო.

იმედია, ეს გარემოება თვალს აუხელს დრამატიულ დასს და შემდეგისათვის შეეცდება უფრო თანამედროვე პიესების დადგმას, რაც, დარწმუნებული ვარ, ბლომათ მიიზიდავს ხალხს თეატრში.

„იგივე“.

უცხოეთი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

საფრანგეთის „ჩინოვნიკები“.

როგორც ამას წინეთ გვქონდა მოხსენებული, საფრანგეთში შესდგა „ჩინოვნიკთა“ კავშირი. კავშირის მოწინააღმდეგე დეპუტატებმა პალატაში შეკითხვა შეიტანეს—თუ როგორ უყურებს მთავრობა „ჩინოვნიკთა კავშირს. შეკითხვა 5 დეკემბერს გაირჩა. იუსტიციის მინისტრმა განაცხადა, რომ „ჩინოვნიკთა“ კავშირი ნებადართულია 1901 წლის კანონით თუ, რასაკვირველია, ის არ შეუერთდება მუშათა ორგანიზაციებს და ამიტომ მთავრობა მის წინააღმდეგ ვერავითარ ზომებს ვერ მიიღებსო.

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ ადგილი მისცეთ თქვენი გაზეთის მახლობელ ნომერში ამ წერილს:

ოზურგეთის სამაზრო სასკოლო კომისიის მონდობილობით ურმეს მადლობას ვუცხადებ თ. გრიგოლ სიმონის ძე გუგუნავას, რომელმაც ოზურგეთის მომავალ რეალური გიმნაზიის ფონდის გასაძლიერებლათ შესწირა ოცდათოთხმეტი მანეთი. იმედია სხვებიც მიბაძვენ ამ კეთილ მაგალითს.

ოზურგეთის სამაზრო სასკოლო კომისიის
ხაზინადარი დიმიტრი ერისთავი.

ბ. რედაქტორო! ნება მოგვეცით თქვენი გაზეთის საშვალებით მადლობა გამოუცხადოთ იმ პირთ, რომლებმაც არ დაიშურეს და დ. ჩოხატაურში ახლათ გახსნილ უფასო წიგნთ-საცავსამკითხველოს შემოსწირეს: ნიკო გეგელაშვილმა 50 კ., ვასო ჭილაძემ 50 ., მღ. ყარამან რამიშვილმა 50., მღ. ირაკლი ქორიძემ 40 კ., ივანე გ. ცინცაძემ წიგნები 32 მ. 22 კაპეიკისა, ილია ივანოვმა ბოგდანოვის პოლიტიკური ეკონომია, პლატონ მახარაძემ 3 მან. ლეონიდე ივანოვმა სხ. და სხ. წიგნები 5 მ. 55 კ-სა, ირაკლი დოლიძემ „Исторія культуры“, „Мертвыя души“ და ეპიფანე ბერძენიშვილმა „გლეხი კაცის ისტორია“.

ბიბლიოთეკის გამგე **ს. თავართქილაძე.**

ქალაქი თეირანი
გლასა მგელაძე.

გამოვიდა და იყიდება

საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში
— ● **კედლის კალენდარი 1910 წ.** ● —
შედგენილი **ზრ.** ჩარკვიანისაგან და გამოცემული „სორაპანი“-ს ამხანაგ. მიერ
ფასი 40 კაპ.

═ სახალხო კალენდარი ● ═
1910 წლ. შედგენილი მ. გაჩეჩილაძისაგან.
ვინც ერთად არა ნაკლებ 50 ცალისას იყიდის $^0/_0$% დაეთმობა.
ადრესი: Тифлисъ т-во. „Сорапань“.
(15—14)

დ. ჩოხატაურში
# წიგნის მაღაზიაში

მიიღება ხელის მოწერა „მომავალზე“ და აგრეთვე ყოველგვარ ქართულ-რუსულ ჟურნალ-გაზეთებზე. გლეხი კაცის ისტორიაზე კი, მხოლოდ პირველ იანვრამდე. ვღებულობთ ამასთანავე ყოველგვარ სასტამბო და წიგნების ყდების „ზაკაზებს“.
(10—5)

საჭირო

არის ჟურნალ-გაზეთებისათვის აგენტი დ. ზუგდიდში. პირობების გაგება შეიძლება თფილისში, ბორჯომის ქ. № 5, რუკოვიჩთან და დ. სამტრედიაში ვოგზალზე წიგნის შკაფში ყ. კოპალეიშვილთან.
(10—6)

1910 წლის 1 იანვრიდან მიიღება ხელის მოწერა ყოველ-კვირეულ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

„ფონ-ზე“

წლიურათ გაზეთი ეღირება 3 მან. 50 კ.
ნახევარი წლით — — — 2 მან. —
სამი თვით — — — — 1 მან. 20 კ.

ვინც 20 დეკემბრამდე მომავალი წლისთვის გამოიწერს გაზეთს, ყველა დეკემბრის №№ უფასოთ დაეთმობა.

ადრესი: Кутаисъ, редакція „ПОНИ“, Балаханская ул. домъ № 37

ხელის მოწერა შეიძლება აგრეთვე ისიდორე კვიცარიძესთან.
(5—3)

წელიწადი 1910 წლისთვის **მეორე.**

მიიღება ხელის მოწერა
# ყოველ-კვირეულ იუმორისტულ ჟურნალზე



და სალამური

ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი

ვინც ამ თავიდან გამოიწერს ჟურნალს და მთელი წლის ფასს შემოიტანს ავვისცოს პირველ რიცხვებში ჟურნალთან ერთათ

პრემიათ გაეგზავნება
ახალი კრებული

ამ კრებულში მოთავსებული იქნება: ლექსები, მოთხრობები, იუმორისტული ნაწარმოებნი და სხვა. როგორც ორგინალური ისე ნათარგმნი.

წიგნი 300 გვერდიანი იქნება, მოზრდილი ფორმატის და ეღირება 1 მ.
მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ახალგაზდა მწერლები და პოეტები.

ჟურნალის ფასი მთელი წლის **სრულად უნდა აუცილებლათ შემოიტანონ პირველ ივნისამდე.** ვინც ამ დრომდე სრულად ვერ შემოიტანს პრემიას ვერ მიიღებს. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილათ: პირველათ **2** მ. **50** კ. დანარჩენი **2** მ. **50** კ. პირველ ივნისამდე.

1910 წლის 1 იანვრიდან ჟურნალი გამოვა იმავ ფორმატით და იმავ შინაარსით. რედაქცია ეცდება გააუმჯობესოს ჟურნალი. მონაწილეობას მიღებენ: **აზიანი, ბლიაძე, განჯის-კარელი, ეშმაკი, ვოლდემარი, ზომლეთელი, თურდოს. ზირელი, იასამანი, კენტი, ლეჩხუმელი, მალაქიაშვილი, პიცნა, ტ. რამიშვილი, რუხაძე, რუშაველი, ტუქსიშვილი, ფონ-ტეფო, ქუჩიშვილი, შხანკელა და სხვანი.**

ჟურნალი წლიურათ ღირს 5 მ. თვიურათ 50 კ. ცალკე ნომერი 10 კ.

ფულის გამოსაგზავნი ადრესა: Тифлисъ Типографія Т-ва „Шрома“
Василію Карамановичу Болквадзе.

სტამბა ამხ. „შრომა“ რუსის ქ., 3.